

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში	4
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	10
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	10
რისკის მართვა	18
პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები	21
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	22
მმართველობის ანგარიში	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი“-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „უროლოგიისა და ნეფროლოგიის ცენტრი“-ს თანდართული კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული კონსოლიდირებული სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსაზრებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვით მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

30 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო



WE ARE AN INDEPENDENT MEMBER OF
THE GLOBAL ADVISORY
AND ACCOUNTING NETWORK

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ. N2
თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 032 2 47 09 00
ე-ფოსტა: info@fmg.ge

Financial Management Group LTD
Dolidze Str. #2
Tbilisi, Georgia
Tel: (995) 032 2 47 09 00
E-mail: info@fmg.ge

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

ბელა ჩაღუნელი (# SARAS-A-317228)

30 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო



	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	3	14,185,367	13,312,637
არამატერიალური აქტივები		16,843	16,843
სულ გრძელვადიან აქტივები		14,202,209	13,329,480
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4	454,454	486,470
გადახდილი ავანსები		428,200	16,855
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,346,594	2,607,802
ფული და ფულის ექვივალენტები	6	1,059,566	1,161,226
სულ მიმდინარე აქტივები		3,288,814	4,272,352
სულ აქტივები		17,491,023	17,601,832
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		154,940	154,940
გაუნაწილებელი მოგება		15,035,878	15,601,547
სულ კაპიტალი		15,190,818	15,756,487
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	1,888,811	1,531,330
მიღებული ავანსები		3,494	5,429
გადასახდელი გადასახადები		407,899	308,586
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,300,205	1,845,346
სულ ვალდებულებები		2,300,205	1,845,346
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		17,491,023	17,601,832

დირექტორი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო

შპს უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	3	14,185,367	13,312,637
არამატერიალური აქტივები		16,843	16,843
სულ გრძელვადიან აქტივები		14,202,209	13,329,480
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4	454,454	486,470
გადახდილი ავანსები		428,200	16,855
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,346,594	2,607,802
ფული და ფულის ექვივალენტები	6	1,059,566	1,161,226
სულ მიმდინარე აქტივები		3,288,814	4,272,352
სულ აქტივები		17,491,023	17,601,832
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		154,940	154,940
გაუნაწილებელი მოგება		15,035,878	15,601,547
სულ კაპიტალი		15,190,818	15,756,487
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	1,888,811	1,531,330
მიღებული ავანსები		3,494	5,429
გადასახდელი გადასახადები		407,899	308,586
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,300,205	1,845,346
სულ ვალდებულებები		2,300,205	1,845,346
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		17,491,023	17,601,832

დირექტორი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო

შპს უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	8	12,143,827	10,923,452
სამედიცინო მასალების და მომსახურების ხარჯები	9	(2,820,227)	(2,718,563)
ადმინისტრაციული ხარჯი	10	(1,183,905)	(747,518)
ხელფასის ხარჯი		(8,417,379)	(7,141,949)
ცვეთის ხარჯი		(749,977)	(790,282)
საოპერაციო მოგება		(1,027,660)	(474,860)
არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი წმინდა		440,001	570,013
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		-	500
საპროცენტო შემოსავალი		22,261	34,229
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		(269)	142,425
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		461,992	747,167
მოგება დაბერგვრამდე		(565,668)	272,307
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		(565,668)	272,307
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		(565,668)	272,307

დირექტორი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო

შპს უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	მენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	8	12,143,827	10,923,452
სამედიცინო მასალების და მომსახურების ხარჯები	9	(2,820,227)	(2,718,563)
ადმინისტრაციული ხარჯი	10	(1,183,905)	(747,518)
ხელფასის ხარჯი		(8,417,379)	(7,141,949)
ცვეთის ხარჯი		(749,977)	(790,282)
საოპერაციო მოგება		(1,027,660)	(474,860)
არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი წმინდა		440,001	570,013
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		-	500
საპროცენტო შემოსავალი		22,261	34,229
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		(269)	142,425
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		461,992	747,167
მოგება დაბერგვრამდე		(565,668)	272,307
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		(565,668)	272,307
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		(565,668)	272,307

დირექტორი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო

შპს უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი
კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი
კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება /დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	154,940	15,329,240	15,484,180
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-
განაწილებული დივიდენდი	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	272,307	272,307
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	154,940	15,601,547	15,756,487
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-
განაწილებული დივიდენდი	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	(565,668)	(565,668)
ნაშთი 2010 წლის 31 დეკემბრისათვის	154,940	15,035,878	15,190,818

დირექტორი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო

შპს უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი
კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	განაწილებული მოგება /დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	154,940	15,329,240	15,484,180
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-
განაწილებული დივიდენდი	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	272,307	272,307
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	154,940	15,601,547	15,756,487
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	-	-	-
განაწილებული დივიდენდი	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	(565,668)	(565,668)
ნაშთი 2010 წლის 31 დეკემბრისათვის	154,940	15,035,878	15,190,818

დირექტორი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო

შპს უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	(565,668)	272,307
კორექტირება:		
საპროცენტო შემოსავალი	(22,261)	(34,229)
ცვთის ხარჯი	749,977	790,282
მოთხოვნების რეზერვების კორექტირება	(110,330)	150,428
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(269.34)	(142,425)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	51,448	1,036,362
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	1,371,538	285,975
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	32,016	(165,088)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(411,345)	447,693
ცვლილებები გადასახადებში	99,313	48,759
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	(1,935)	(14,552)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	357,750	(694,950)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,498,785	944,201
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		
მიღებული პროცენტები	22,261	34,229
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,521,046	978,429
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების გაყიდვა	467,007	38,265
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(2,089,713)	(856,409)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,622,706)	(818,145)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	-	142,425
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(101,661)	302,710
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	1,161,226	858,517
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	1,059,566	1,161,227

დირექტორი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

შპს „უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2009 წლის 27 მარტს, მარეგისტრირებული ორგანო არის თბილისის საგადასახადო ინსპექცია, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი. წინანდლის ქუჩა N27 კომპანიის დამფუძნებელი და 100 % წილის მფლობელია ფიზიკური პირი გიორგი მანაგაძე.

კომპანია საქმიანობს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნეფროლოგიური და უროლოგიური პაციენტების ამბულატორიული და სტაციონალური მომსახურება. კომპანია ფლობს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ოპერირებულ კომპანიას შპს ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნულ ცენტრს 100 პროცენტიანი წილის მფლობელობით. (ორივე კომპანია შემდეგში მოხსენიებულია როგორც „ჯგუფი“).

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ჯგუფის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის („ბას“) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფას“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მოგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა ჯგუფის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. მენეჯმენტი მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად და საოპერაციო გარემოს გასაუმჯობესებლად.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ჯგუფმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ლარი/1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	3.5040	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელებზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელებით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელები მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელების შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL).

კომპანია ფლობს ორი ტიპის ფინანსურ აქტივის, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი -სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათ ექვივალენტი. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის და სადეპოზიტო ფულადი სახსრებისათვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები და დეპოზიტზე განთავსებული ფულადი სახსრები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მონაცემებზე, შეფასებებსა და განსჯის მეთოდებზე რომელიც გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არა დაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდ წილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც ჯგუფმა გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფის ბალანსზე იდენტიფიცირებული უიმედო მოთხოვნები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული ნაწილი დარეზერვებულია გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ჯგუფში ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხორციელდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების ტესტირება და არსებითი გავლენის შემთხვევაში მისი კორექტირება. საკუთრებაში არსებული მარაგების არსებითი ნაწილი მოიცავს სწრაფად ბრუნვად მარაგებს და არ არის გაუფასურებული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე ან მათგან საკომპენსაციო თანხის წინასწარ მიღების შემთხვევაში, რა დროსაც აღნიშნული თანხა იდენტიფიცირებულია როგორც მიღებული ავანსები. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

შპს უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი
მოგების გადასახადი (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის ღირებულებას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვალებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

- | | |
|--|---------|
| • შენობა-ნაგებობები | • 20-30 |
| • მანქანა დანადგარები | • 5-10 |
| • სამედიცინო ინვენტარი | • 5-10 |
| • ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი | • 5-10 |
| • სატრანსპორტო საშუალებები | • 5-10 |
| • სხვა ძირითადი საშუალებები | • 5-10 |

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გაქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

ლივიდენდები

ლივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ლივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავალი

შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის შემოსავლები მოიცავს სამედიცინო მომსახურების მიწოდებით მიღებულ შემოსავლებს.

ხარჯები

ჯგუფის ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

უიმედო ვალების რეზერვი

ჯგუფი, კლიენტების გადახდისუნარიობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსადრიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტ საიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

2020ს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმის თავდაპირველი გამოყენების გავლენა ფასს 9-ში და ფასს 7-ში;
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა ფასს 16-ის შესწორებები; • საიჯარო გადასახადების ცვლილებების აღრიცხვაზე გავლენა, გათავისუფლების გამოყენებით;
- სხვა ახალი და შესწორებული ფასს სტანდარტების საწყისი გამოყენების გავლენა, რომლებიც ძალაშია მიმდინარე წლისთვის.

ზემოთ აღნიშნულ ცვლილებების მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე. მიმდინარე წელს ჯგუფმა გამოიყენა საბჭოს მიერ გაცემული ფასს სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში ქვემოთ მოყვანილი ცვლილებები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. მათ მიღებას არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ინფორმაციის გამჟღავნებაზე ან ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებზე.

- ფასს-ის სტანდარტებში კონცეპტუალურ ჩარჩოში მითითებების შეტანა;
- ფასს 3-ში შესწორებები ბიზნესის განმარტებაში;
- ბასს 1-ში და ბასს 8-ში შესწორებები მასალების განმარტებაში;

ჯგუფს ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები2;
- ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორება)4;
- ფასს 3 საწარმოთა გაერთიანება (შესწორებები) - საწარმოს განმარტება1;
- ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7 (შესწორებები) - საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებლის რეფორმა და მისი შედეგები ფინანსურ ანგარიშგებაზე1.
- ბასს 1 და ბასს 8 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორებები) - მასალის განმარტება1;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2010-2012 წწ. ციკლი - მიმდინარე და არამიმდინარე ვალდებულებების კლასიფიკაცია3;

1. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;
2. ძალაშია 2022 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;
3. ძალაშია 2023 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;
4. სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, შესწორებათა ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	სამედიცინო ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა, ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
საწყისი ღირებულება									
ბალანსი 31/12/2019	6,100,874	1,407,387	3,467,809	638,256	1,346,524	76,300	74,211	173,412	13,284,773
დანამატები	-	163,525	43,410	-	142,745	-	506,730	-	856,409
აქტივის ჩამოწერა	-	-	-	-	(38,265)	-	(11,224)	-	(49,489)
ცვეთა პერიოდისთვის	-	-	(209,764)	(87,129)	(265,802)	(44,021)	(74,508)	(109,059)	(790,282)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-	11,224	-	11,224
ბალანსი 31/12/2020	6,100,874	1,570,912	3,301,455	551,127	1,185,203	32,279	506,433	64,353	13,312,636
დანამატები	-	700,519	-	-	1,387,189	-	-	2,006	2,089,714
აქტივის ჩამოწერა	-	-	-	-	(688,264)	-	-	-	(688,264)
ცვეთა პერიოდისთვის	-	-	(251,478)	(130,693)	(282,619)	(16,136)	(36,882)	(32,169)	(749,977)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	221,257	-	-	-	221,257
ბალანსი 31/12/2021	6,100,874	2,271,430	3,049,978	420,434	1,822,766	16,143	469,551	34,190	14,185,367
ბალანსი 31/12/2020	6,100,874	1,570,912	3,301,455	551,127	1,185,203	32,279	506,433	64,353	13,312,636
ბალანსი 31/12/2021	6,100,874	2,271,430	3,049,978	420,434	1,822,766	16,143	469,551	34,190	14,185,367

შენიშვნა 4 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს მედიკამენტებს და სახარჯს მასალებს

	31.12.2021	31.12.2020
სამედიცინო მარაგები	444,673	476,689
სხვა მარაგები	9,781	9,781
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	454,454	486,470

შენიშვნა 5 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს საბალანსო ღირებულებას და მასთან დაკავშირებულ ანარიცხებს:

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები რეალიზაციიდან	1,368,971	2,730,295
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2,493	2,706
ანარიცხები	(24,870)	(125,200)
სულ	1,346,594	2,607,801

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი:

მოთხოვნები	ბრუტო საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საბალანსო ღირებულება
მიმდინარე მოთხოვნები	1,243,493	2%	(24,870)	1,218,623
30-90 დღის ვადაგადაცილება	-	10%	-	-
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	100%	-	-
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2021	1,243,493		(24,870)	1,218,623

შენიშვნა 6 - ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ფულს ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე

	31.12.2021	31.12.2020
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	70,444	248,509
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	989,122	912,717
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	1,059,566	1,161,226

შენიშვნა 7 - სავაჭრო ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები	1,482,055	1,079,007
გადასადელი ხელფასები	406,756	452,323
სულ სავაჭრო ვალდებულებები	1,888,811	1,531,330

შენიშვნა 8 -შემოსავალი რეალიზაციიდან

პერიოდის შემოსავლები მოიცავს საანგარიშო პერიოდში გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს

	31.12.2021	31.12.2020
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	4,140,100	4,522,942
ფიზიკური პირები	4,959,324	3,141,643
დაზღვევის ერთიანი ფონდი	1,655,902	1,643,996
კერძო სადაზღვეო კომპანიები	65,337	801,717
შემოსავალი კვლევებიდან	943,512	603,705
სხვა	379,653	209,448
სულ -შემოსავალი რეალიზაციიდან	12,143,828	10,923,451

შენიშვნა 9 – ადმინისტრაციული ხარჯები

	31.12.2021	31.12.2020
საპენსიო ხარჯი	61,540	46,419
საკანცელარიო ხარჯი	23,105	18,196
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	508,922	378,448
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	27,848	29,998
კომპიუტერის ხარჯი	13,125	33,869
საგადასახადო ხარჯი	-	4,411
საბანკო ხარჯი	3,015	3,715
სხვა საერთო ხარჯი	546,350	232,464
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	1,183,905	747,518

რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ჯგუფის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების ღონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები რიგ შემთხვევებში არ არის შესაბამისი საკრედიტო რისკების მინიმალიზაციისათვის, რის გამოც წამოიქმნება უიმედო მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე ჯგუფმა დანაკარგების რეზერვის გამოსათვლელად გამოიყენა ფასს 9-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომა. ჯგუფი ამ ერთეულებზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს რეზერვების მატრიცით, რომელიც მიიღება ისტორიული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება მსესხებლების ვადაგადაცილების სტატუსს და კორექტირებულია მსესხებელთა სპეციფიურ ფაქტორებზე, მსესხებლის დარგის ზოგად ეკონომიკურ პირობებსა და საანგარიშგებო თარიღში პირობების მიმდინარე და საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით. შესაბამისად, ამ აქტივების საკრედიტო რისკის პროფილი წარმოდგენილია რეზერვების მატრიცით ვადაგადაცილების სტატუსის საფუძველზე, როგორც ეს ასახულია შენიშვნა N5 - ში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდურობის რისკის სამართავად ჯგუფმა ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

	მოთხოვნა 1 თვემდე ვადში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2021 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,888,811	0	-	-	-	1,888,811
მიღებული ავანსები	3,494	-	-	-	-	3,494
ნასესხები სახსრები	-	-	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,892,306	0	-	-	0	1,892,306

კაპიტალის რისკი

ჯგუფმა კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს მოქმედი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავედროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით. ჯგუფს პერიოდის ბოლოს არ გააჩნია სასესხო ვალდებულებები და კაპიტალი მოიცავს აკუმულირებულ მოგებას.

საპროცენტო რისკი

ჯგუფმა საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანი და, ამდენად, რისკი მცირეა.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში ჯგუფი არ ფლობს უცხოურ ვალუტაში აღრიცხულ სასესხო ვალდებულებას. ასევე ჯგუფს მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს ეროვნულ ვალუტაში. 2020 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ ჯგუფში წარმოქმნა ფინანსური მოგება საკურსო სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის მარაგების არსებითი ნაწილი შეძენილია ეროვნულ ვალუტაში და პერიოდის ბოლოს კომპანიის ვალდებულებების არსებითი ნაწილი მოიცავს ეროვნულ ვალუტაში წარმოქმნილ ვალდებულებებს.

მენეჯმენტის პოზიციით სავალუტო სხვაობის დასაშვები ცვლილებები გათვალისწინებულია მოგების მარჟის გაანგარიშებაში, რაც ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებითობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2021		
	GEL	USD 1 = 3.0976 GEL	EURO 1 = 3.504 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	70,444	437,340	551,803
სავაჭრო მოთხოვნები	1,565,761	-	-
სულ ფინანსური აქტივები	1,636,204	437,340	551,803
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	690,337	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	690,337	-	-
სულ წმინდა პოზიცია	945,868	437,340	551,803

	31 დეკემბერი 2020		
	GEL	USD 1 = 3.2766 GEL	EURO 1 = 4.0233 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	248,509	372,577	540,140
სავაჭრო მოთხოვნები	2,602,094	-	-
გადახდილი ავანსები	16,855	-	-
სულ ფინანსური აქტივები	2,867,458	372,577	540,140
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,531,330	-	-
მიღებული ავანსები	5,429	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,536,759	-	-
სულ წმინდა პოზიცია	1,330,699	372,577	540,140

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფის ვალდებულებების არსებითი ნაწილი წარმოქმნილია ეროვნულ ვალუტაში. ქვეყნის ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებები არსებით გავლენას არ ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ შედეგებზე, რის გამოც სავალუტო რისკები არ არის მაღალია. ჯგუფი ახორციელებს ვალუტებში დენომინირებულ ტრანზაქციებს; შესაბამისად, მასზე მნიშვნელოვნად არ მოქმედებს რისკი, რომელიც გაცვლითი კურსის მერყეობისას წარმოიქმნება.

შპს უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი
სავალუტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

31.12.2021	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%	20%	-20%
მოგება/ზარალი გადასახადებამდე:	87,468	(87,468)	110,361	(110,361)

31.12.2020	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	20%	- 20%	20%	-20%
მოგება/ზარალი გადასახადებამდე:	74,515	(74,515)	108,028	(108,028)

პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ჯგუფს პერიოდის ბოლოს გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებიც არსებით გავლენას არ იქონიებს კომპანიის საქმიანობაზე. ისინი ძირითადად მოიცავს მოთხოვნების გადაუხდელობაზე წარმოქმნილ სასამართლო პროცესებს, რომლის ფინანსური შედეგიც უკვე ასახულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში და არ გამოიწვევს დამატებით დანახარჯებს.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტიორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

საანგარიშო პერიოდში, კომპანიის არ ჰქონდა ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან გარდა უმაღლესი რანგის მენეჯმენტის ანაზღაურებისა, რომლის ღირებულებაც შეადგენს 375 158 ლარს.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი მოვლენები რომელიც გავლენას მოახდენდა წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

მმართველობის ანგარიში

აღნიშნული კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის მმართველობით ანგარიშგებას. ცენტრის დამფუძნებელი და 100 პროცენტის წილის მფლობელია შპს უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი, რომელიც თავის მხრივ არ ოპერირებს ბაზარზე და მის საქმიანობას წარმოადგენს ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის ოპერირების მონიტორინგი და ზედამხედველობა. აღნიშნული მმართველობითი ანგარიში ძირითადად მოიცავს ჯგუფში შემავალი კომპანიის ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის მმართველობით ანგარიშ, ვინაიდან მშობელი საწარმო დამოუკიდებელ ეკონომიკურ საქმიანობას არ ახორციელებს.

ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი (შემდგომში უროლოგიის ცენტრი) ყველაზე დიდი და ძველი კლინიკური, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაა, უროლოგიური და ნეფროლოგიური პაციენტებისათვის საქართველოში. იგი დაარსდა აკადემიკოს ალექსანდრე წულუკიძის მიერ 1959 წელს და რომლის განვითარებამაც უდიდესი წვლილი შეიტანა ლაზერენტი მანაგაძემ. ცენტრი მდებარეობს ქ. თბილისის ძველ და ცენტრალურ უბანში, ავლაბარში, მეტროს სადგურ „300 არაგველებთან“, ე.წ. ქალაქის I საავადმყოფოს ტერიტორიაზე.

უროლოგიის ცენტრი უზრუნველყოფს პაციენტების უმაღლესი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას უროლოგიისა და ნეფროლოგიის ყველა სფეროში. გარდა ამისა, იგი არის უდიდესი სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულება. ცენტრში ყოველწლიურად მიმდინარეობს რამოდენიმე საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი უროლოგიის, ნეფროლოგიისა და ტრანსპლანტოლოგიის დარგში. მათგან აღსანიშნავია საერთაშორისო, მულტიცენტრული, რანდომიზირებული კლინიკური კვლევები, რომლებშიც უროლოგიის ცენტრი აქტიურად არის ჩართული ბოლო წლების განმავლობაში. ეს უზრუნველყოფს ცენტრის სამედიცინო პერსონალის უწყვეტ სამედიცინო განათლებას და ჩვენი პაციენტების მომსახურების ყველაზე თანამედროვე ხარისხს.

უროლოგიის ცენტრის 100% წილით დამფუძნებელს წარმოადგენს შპს „უროლოგიისა და ნეფროლოგიის ცენტრი“, რომლის 100% წილის მფლობელსაც წარმოადგენს გიორგი მანაგაძე, რომელიც ამავე დროს უროლოგიის ცენტრის გენერალური დირექტორიცაა.

უროლოგიის ცენტრი იმართება დირექტორების მიერ, რომლებიც პასუხისმგებლები არიან შესაბამისი მიმართულებების მიხედვით, ხოლო მთლიანად კომპანიის საქმიანობას წარმართავს გენერალური დირექტორი. კომპანიას დირექტორატს წარმოადგენენ:

- გენერალური დირექტორი - გიორგი მანაგაძე
- აღმასრულებელი დირექტორი - თეიმურაზ სინჯიაშვილი
- დირექტორი სამეცნიერო დარგში - არჩილ ჩხოტუა
- დირექტორი სამედიცინო დარგში - ამბროსი პერტია
- დირექტორი სამეურნეო ტექნიკურ დარგში - დავითი ჩხაბერიძე
- დირექტორი ხარისხის მართვის დარგში - მირანდა მანაგაძე

უროლოგიის ცენტრის სტრუქტურა შედგება დიაგნოსტიკური, კლინიკური და ადმინისტრაციული ერთეულებისაგან. აქ თქვენ მოგემსახურებათ ახლად გარემონტებული და უთანამედროვესი აპარატურით აღჭურვილი ამბულატორია, მიმღები და დიაგნოსტიკური განყოფილებები. ცენტრის კლინიკური ნაწილი შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან: 4 უროლოგიური განყოფილება ზოგად უროლოგიური დაავადებებისათვის; ბავშვთა უროლოგია; ნეფროლოგიის, დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის განყოფილება; ონკოლოგიის დეპარტამენტი; ინტენსიური თერაპიისა და რეანიმაციის განყოფილება; ანესთეზიოლოგიური სამსახური; ლითოტრიპსიის ცენტრი. 4

განვითარების გეგმები

უროლოგიის ეროვნული ცენტრის განვითარების უზრუნველყოფისათვის მენეჯმენტი პერმანენტულად განსაზღვრავს მოკლევადიან მიზნებს და შესასრულებელ ვალდებულებებს, 2021 წლის განმავლობაში უროლოგიის ცენტრი აპირებს შემდეგი სამუშაოების შესრულებას:

- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
- მომხმარებლების რაოდენობის ზრდა
- საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლებისათვის ცენტრის ბრენდირებას და სარეკლამო კამპანიის წარმოებას.
- თანამშრომელთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებების კვლევას ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
- რესურსების ოპტიმალურად გამოყენებას.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

უროლოგიის ცენტრი ერთადერთი სპეციალიზირებული უროლოგიური დაწესებულებაა საქართველოში, სადაც თქვენ ჩაგიტარდებათ სრულყოფილი დიაგნოსტიკური კვლევები, როგორიცაა: კომპიუტერული ტომოგრაფია; ულტრასონოგრაფია და დოპლეროგრაფია; რენტგენოლოგია; უროდინამიკა; კლინიკური, ბაქტერიოლოგიური, ბიოქიმიური, იმუნოფერმენტული, და მორფოლოგიური კვლევების სრული სპექტრი. სამედიცინო პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და თანამედროვე სამედიცინო აპარატურა უზრუნველყოფს ყველაზე რთული უროლოგიური და ნეფროლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკასა და შემდგომ მართვას.

ჩვენი ცენტრი აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესშიც. კერძოდ, ცენტრში მოქმედებს რეზიდენტურის პროგრამა უროლოგიასა და ტრანსპლანტოლოგიაში, რომლის ფარგლებშიც, თეორიულ და პრაქტიკულ განათლებას იღებენ როგორც უცხო ქვეყნების ასევე საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების სამედიცინო ფაკულტეტების კურსდამთავრებულები.

ამასთან 2021 წლის განმავლობაში კომპანიაში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები, განხორციელდა კვლევითი პროექტები:

1. „NOX66 და პალიატიური სხივური თერაპიის პროსტატის ჯირკვლის ბოლო სტადიის სიმსივნის მქონე პაციენტებში-კონცეფციის ფაზა 1b-ის მტკიცებულება და დოზის დამადასტურებელი კვლევა“.
2. “პროსპექტული, მე-3 ფაზის, რანდომიზებული, მულტიცენტრული, ორმაგად ბრმა, ორმაგად დაფარული კვლევა ინტრავენური სულოპენემის გაგრძელებული პერორალური სულოპენემ-ეტზადროქსილის ეფექტიანობის, ამტანობისა და უსაფრთხოების შესაფასებლად პრობენეციდთან ერთად, რომელიც შედარდება ინტრავენურ ერტაპენემი გაგძელებული პერორალური ციპროფლოქსაციინით ან ამოქსიცლინ-კლავულანატიტ ზრდასრულებში საშარდე გზების გართულებული ინფექციების სამკურნალოდ“
3. „მე-3 ფაზის, რანდომიზებული, დია ეტიკეტიანი, აქტიური პრეპარატი კონტროლირებული კვლევა როქსადუსტატის ეფექტიანობისა და უსაფრთხოების შესაფასებლად ანემიის მკურნალობისას, თირკმლის ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებში, რომლებიც დიალიზზე არ იმყოფებიან“
4. „მე-3 ფაზის, რანდომიზებული, ორმაგად ბრმა, ორმაგად დაფარული, მულტიცენტრული, პროსპექტული კვლევა პერორალური ტებიპენემ პიოქსილ ჰიდრობრომიდის (SPR994) ეფექტიანობის, უსაფრთხოებისა და ფარმაკოკინეტიკის შესაფასებლად ინტრავენურ ერტაპენემთან შედარებით საშარდე გზების გართულებული ინფექციის (cUTI) ან მწვავე პიელონეფრიტის (AP) მქონე პაციენტებში“

ხარისხის მართვა

უროლოგიის ცენტრის პოლიტიკას ხარისხის მართვის სფეროში წარმოადგენს მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა ისეთ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის ფუნქციონირებას დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდების უახლესი მიღწევების შესაბამისად. ამასთან ყველაზე მნიშვნელოვანია პაციენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ პოლიტიკის განსახორციელებლად უროლოგიის ცენტრში დანერგილია და მუდმივად ვითარდება მენეჯმენტის სისტემა, რომელიც პასუხებს დღეისათვის არსებულ საერთაშორისო მოთხოვნებს.

კომპანია წარმოადგენს ხარისხის საერთაშორისო სერთიფიკატების ISO 9001-2015 მფლობელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიას გააჩნია ხარისხის მართვის სახელმძღვანელო, რომლის შესაბამისადაც ახორციელებს ძირითად საოპერაციო საქმიანობას. სახელმძღვანელო იდენტიფიცირებას უკეთებს ხარისხის პროცესებს. მართვის პროცესები მოიცავს ჯგუფის ყველა სახის საქმიანობას, პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის, ასევე მენეჯმენტის, რესურსების მართვისა და გაზომვის ფარგლებში. პროცესების შენარჩუნებისა და მონიტორინგისთვის საჭირო რესურსების არსებობის უზრუნველყოფა ხდება, ჯგუფის საქმიანობის დაგეგმვის სისტემით;

უროლოგიის ეროვნული ცენტრი“ ახორციელებს ხარისხის მართვის პროცესების მონიტორინგს, გაზომვასა და ანალიზს, ასევე ღებულობს ზომებს ამ პროცესების დადგენილი შედეგების მიღწევისა და მუდმივი გაუმჯობესებისთვის;

ხარისხის მართვის მთავარ სამიზნეს რა თქმა უნდა წარმოადგენს მომხმარებელთა კმაყოფილება, რომლის უზრუნველსაყოფადაც ყურადღება ექცევა შემდეგ ფაქტორებს: პროცესების, რესურსების, მეთოდებისა და მართვის საშუალებების გამოყენების, დანადგარების, მოწყობილობების, პროგრამული უზრუნველყოფის გამოვლენას და იდენტიფიცირებას, რომლებიც შეიძლება აუცილებელი იყოს ხარისხის მოთხოვნათა მიღწევისთვის, პერსონალის კვალიფიკაციისა და გაწეული მომსახურების კავშირის უზრუნველყოფისათვის. ხარისხის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად ყველაფერთან ერთად აუცილებელია მაღალი დონის ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და განვითარება.

ინფრასტრუქტურის სამუშაო მდგომარეობაში შენარჩუნების დაგეგმვა ხორციელდება პერსონალის წინადადებებით, საქმიანობასთან დაკავშირებული განცხადებებისა და ხელშეკრულებების ანალიზის ჩატარების შემდეგ. ინფრასტრუქტურის შენარჩუნებაზე კონტროლს ახორციელებს დირექტორები და ქვეგანყოფილებების ხელმძღვანელები. ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება გენერალური დირექტორის

მიერ თათბირებზე და მხედველობაში მიიღება გეგმიური და ოპერატიული შესყიდვების დროს. ინფრასტრუქტურის მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებისთვის რესურსების გამოყოფას ახორციელებს გენერალური დირექტორი.

მოკლე ფინანსური ანალიზი

ჯგუფი აგრძელებს ფუნქციონირებას არსებული წარმატებული ბიზნეს მოდელით. გასულ პერიოდთან შედარებით გაზრდილი შემოსავალი მეტწილად განპირობებულია იმით, რომ აღარ არსებობდა პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები და კლინიკა სრული დატვირთვით ემსახურებოდა მიღებულ პაციენტებს. შედეგად კომპანიაში გაიზარდა, როგორც ხელფასის ასევე ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები და მოთხოვნები რომელიც მეტწილად წარმოქმნილია სახელმწიფო ჯანდაცვის და კერძო სადაზღვეო კომპანიების მიმართ.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მიუხედავად იმისა რომ სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნას არ გააჩნია კლების ტენდენცია, ძირითად რისკებად შესაძლოა განხილული იყოს რისკები, რომლის მართვაც ვერ ხორციელდება ჩვენი მენეჯმენტის მიერ. მაგალითად ისეთი გარე ფაქტორები როგორიცაა მედიკამენტებზე ფასების ზრდა, რაც აძვირებს მომსახურების ღირებულებას და რიგ შემთხვევებში აღარ არის ხელმისაწვდომი მომხმარებლებისათვის.

ასევე რისკად შეიძლება ჩაითვალოს თანამშრომელთა დიდი დენადობა, რაც გამოწვეულია სხვადასხვა კლინიკების მიერ სამედიცინო პერსონალის გადაბირებით. რისკის შემცველია ასევე ქვეყანაში არსებული ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა, რაც აისახება მოსახლეობის გადახდისუნარიანობაზე.

ვინაიდან ჩვენ არ გაგვაჩნია სასესხო ვალდებულებები და უცხოურ ვალუტაში წარდგენილი სხვა ვალდებულებები ვალუტის კურსის ცვალებადობა მყისიერ გავლენას არ ახდენს ჩვენს ოპერაციებზე და გამოხატულია მხოლოდ მედიკამენტების ღირებულების ზრდით.

დირექტორი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2022
თბილისი, საქართველო

მიერ თათბირებზე და მხედველობაში მიიღება გეგმიური და ოპერატიული შესყიდვების დროს. ინფრასტრუქტურის მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებისთვის რესურსების გამოყოფას ახორციელებს გენერალური დირექტორი.

მოკლე ფინანსური ანალიზი

ჯგუფი აგრძელებს ფუნქციონირებას არსებული წარმატებული ბიზნეს მოდელით. გასულ პერიოდთან შედარებით გაზრდილი შემოსავალი მეტწილად განპირობებულია იმით, რომ აღარ არსებობდა პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები და კლინიკა სრული დატვირთვით ემსახურებოდა მიღებულ პაციენტებს. შედეგად კომპანიაში გაიზარდა, როგორც ხელფასის ასევე ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები და მოთხოვნები რომელიც მეტწილად წარმოქმნილია სახელმწიფო ჯანდაცვის და კერძო სადაზღვეო კომპანიების მიმართ.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მიუხედავად იმისა რომ სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნას არ გააჩნია კლების ტენდენცია, ძირითად რისკებად შესაძლოა განხილული იყოს რისკები, რომლის მართვაც ვერ ხორციელდება ჩვენი მენეჯმენტის მიერ. მაგალითად ისეთი გარე ფაქტორები როგორიცაა მედიკამენტებზე ფასების ზრდა, რაც აძვირებს მომსახურების ღირებულებას და რიგ შემთხვევებში აღარ არის ხელმისაწვდომი მომხმარებლებისათვის.

ასევე რისკად შეიძლება ჩაითვალოს თანამშრომელთა დიდი დენადობა, რაც გამოწვეულია სხვადასხვა კლინიკების მიერ სამედიცინო პერსონალის გადაბირებით. რისკის შემცველია ასევე ქვეყანაში არსებული ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა, რაც აისახება მოსახლეობის გადახდისუნარიანობაზე.

ვინაიდან ჩვენ არ გაგვაჩნია სასესხო ვალდებულებები და უცხოურ ვალუტაში წარდგენილი სხვა ვალდებულებები ვალუტის კურსის ცვალებადობა მყისიერ გავლენას არ ახდენს ჩვენს ოპერაციებზე და გამოსატულია მხოლოდ მედიკამენტების ღირებულების ზრდით.

დირექტორი

30 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი 2022

თბილისი, საქართველო